“დინამო” პირველ ოთხეულში

თბილისი. “დინამოს” სტადიონი. 22 მაისი.

“დინამო” (თბილისი) – “დინამო” (კიევი) – 3:1 (2:1).

“დინამო” (კიევი) – ლემეშკო, ეროხინი, გოლუბევი, პოპოვიჩი, ვოინოვი, იუსტი, გრამატიკოპულო, კორშუნოვი, კანევსკი, კომანი, ფომინი.

“დინამო” (თბილისი) – პირაევი, ელოშვილი, ძიაპშპა, ხოჭოლავა, კოტრიკაძე, ღოღობერიძე, ჭკუასელი, გაგნიძე, ზაზროშვილი, ხასაია.

მსაჯი: ვ. პოდგორნი (მოსკოვი).

პირველი მარცხი კიეველებს ჯერ კიდევ თამაშის დაწყებამდე მოუვიდათ – მათმა ძირითადმა მეკარემ მაკაროვმა მოთელვაზე ხელი იღრძო და იგი ლემეშკომ შეცვალა, ხოლო მსაჯის სასტვენიდან 3½ წუთის შემდეგ თბილისელთა სწრაფმავალი შუამარბი გაგნიძე, რომელიც წინა პოზიციაზე თავისუფალ ადგილზე იდგა, ისე მოულოდნელად შეიჭრა მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანზე, რომ კიეველთა მცველებს სხვა აღარაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ მისთვის ფეხი დაედოთ და ამ საშუალებით ეხსნათ კარი გოლისაგან. მაგრამ ასეთი უხეში ხერხი ფეხბურთში, როგორც ცნობილია, მაინცდამაინც საიმედო არაა. მსაჯის მიერ დანიშნული პენალტი ზუსტად გამოიყენა ზაზროშვილმა და ანგარიში გაიხსნა.

გატანილმა გოლმა თბილისელთა რიგებში დამაჯერებლობა შეიტანა. თავდამსხმელები კარგ ტემპში, ზუსტი კომბინაციებით თამაშობდნენ, მათ ახლო დისტანციაზე მიჰყვებოდნენ ნახევარმცველები და სტუმრები იძულებული იყვნენ ვოინოვი და იუსტი თავის ნახევარზე ჰყოლოდათ შეტევისაგან თავის დასაცავად. მხოლოდ ხანდახან გადმოდიოდა ბურთი მასპინძელთა კართან, მაგრამ დაცვა აქ მშვიდად და მოფიქრებულად მოქმედებდა.

მე–15 წუთზე ღოღობერიძემ მიიღო გადაცემა და საჯარიმო მოედანში შესვლას აპირებდა, მაგრამ მას აქ ფეხი დაუდეს. ზაზროშვილმა ბურთი სწრაფად და მოულოდნელად გადააწოდა ხასაიას, რომელიც დროზე გავიდა გადაცემის ადგილზე და დაბალი ბურთი გაგზავნა შორეულ კუთხეში. ლემეშკომ ვერ შეძლო მისი აღება – 2:0.

ასე მალე ამ შედეგს ასეთ საპასუხისმგებლო თამაშში კიეველები არ მოელოდნენ. ამიტომ მათ შეცვალეს თამაშის ტაქტიკა და სწორი გადაწყვეტილება მიიღეს: თავდამსხმელები გაიშალნენ, ნახევარმცველებმა წინ გადაინაცვლეს და გუნდი შეტევაზე გადავიდა. ბრძოლას სულ უფრო და უფრო დაძაბული ხასიათ მიეცა.

თბილისელებმა თავიდანვე არ მიაქციეს ყურადღება მოწინააღმდეგის ნახევარმცველების აქტიურ რეიდებს მათ ზურგში და ამიტომ მიიღეს კიდეც გოლი თავის კარში. ფომინმა მარცხენა მხრიდან მიაწოდა კუთხური საჯარიმო და ვოინოვმა ზუსტი, ძლიერი თავური დარტყმით ბურთი კარის მარცხენა კუთხეში გაგზავნა – 1:2.

კიეველებმა კიდევ უფრო მოუმატეს ტემპს. კორშუნოვი, კომანი, ფომინი და კვლავ ვოინოვი ხშირად გადიოდნენ კარის სიახლოვეს და რომ პირაევი არა, შეიძლება გაეთანაბრებინათ კიდეც ანგარიში.

დაიწყო მეორე ტაიმი და თითქმის 30 წუთის განმავლობაში უპირატესობა კიეველებს ჰქონდათ ხელთ, რაც დროდადრო ხანგრძლივ შტურმში გადადიოდა. ჭკუასელი, კალოევი და გაგნიძე ან ვერ ახერხებდნენ ბურთის მიღებას, ან მაშინვე კარგავდნენ მას, ხოლო ზაზროშვილისა და ხასაიას მონდომებას ასეთი პასიური მხარდაჭერის გამო, ეფექტი ერთობ ცოტა ჰქონდა.

სტუმრების იერიშები სულ უფრო მძაფრ ხასიათს ღებულობდა, თბილისელებმა მთლიანად ჩააბარეს მათ ინიციატივა და დაცვა იძულებული იყო მაქსიმალური დატვირთვით ებრძოლა კარის უვნებელყოფისათვის. კიეველები ზოგჯერ სულ ახლოს იყვნენ მიზანთან, მაგრამ უკანასკნელ, გადამწყვეტ მომენტებში ძიაპშპა, ხოჭოლავა, ელოშვილი, კოტრიკაძე და სხვანი მაინც ასწრებდნენ ბურთის მოგერიებას. ყოველი კუთხურის მოწოდებისას თბილისელთა კართან სისტემატურად იკრიბებოდა 18–19 მოთამაშე, მაგრამ გოლი მაინც არ ჩანდა. უძნელესი ბურთი აიღო პირაევმა ჯერ კანევსკისაგან, შემდეგ კი ვოინოვს გაბედულად ჩაუხტა ფეხებში.

თბილისელთათვის მძიმე პირობებში მიმდინარეობდა თამაში კარგა ხანს და დაცვის სასახელოდ უნდა ითქვას, რო მან შეძლო ამ დატვირთვის გადატანა. გუნდმა როგორც იქნა თავი დააღწია ამ მდგომარეობას და ისევ გათამაშდა. თავდასხმაში მეტად ენერგიულად იბრძოდნენ ზაზროშვილი და ხასაია, თამაშში ჩაება ჭკუასელიც და ბურთმა ისევ კიეველთა მხარეს გადმოინაცვლა. მასპინძლებმა

დაიბრუნეს თითქმის მთლიანად დაკარგული ინიციატივა და მატჩის ბოლომდე აღარ გაუშვიათ იგი ხელიდან.

37–ე წუთზე ზაზროშვილმა ზუსტად მისცა ბურთი ხასაიას და მან შეუჩერებლივ დაარტყა კარში. ლემეშკომ მესამე ბურთი გამოიტანა კარიდან.

თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 3:1 და გადაინაცვლეს ლიდერთ ჯგუფში.

ამ დღეს კარგად, მონდომებით ჩაატარეს თამაში თბილისის "დინამოს" დუბლიორებმა. მათ დაამარცხეს კიევის თანაკლუბელები ანგარიშით 3:0.

ბ. ქორქია.
"ლელო", 23 მაისი, 1956 წ.